მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

| | |
|---|---|
| დაწესებულება | შპს ეტალონი 2015 |
| საიდენტიფიკაციოკოდი | 440391933 |
| რეგიონი | კახეთი |
| რაიონი | სიღნაღი |
| მისამართი | ქ. წნორი, ერეკლე მეორის ქ. N 24 |
| საფოსტოინდექსი | 4216 |
| დაწესებულებისვებ-გვერდი | |
| დაწესებულებისელ-ფოსტა | skolaetaloni2015@gmail.com |
| ტელეფონი/ფაქსი | 0355244909; 599791190 |
| *დაწესებულების ხელმძღვანელი* | |
| სახელიდაგვარი | საშა ლეკიაშვილი |
| ტელეფონი | 599222990 |
| ელ-ფოსტა | kobalekiashvili@gmail.com |
| დაწესებულებაშიმოსწავლეებისადაპედაგოგების რაოდენობა | |
| პედაგოგი | 25 |
| სერტიფიცირებული პედაგოგი | 7 |
| მოსწავლე/სსსმმოსწავლე | 144/0 |
| ინფორმაციადაწესებულებისავტორიზაციისშესახებ | |
| გადაწყვეტილების ნომერი | N 49; 05 ნოემბერი, 2018 |
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 200 |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............................

ექსპერტი ------------------------------------

## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულებაახორციელებს

- ■ დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
- ■ საბაზო გადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
- ■ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
- ☐ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას

### ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხია განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება N922 |
| მონიტორინგის ჯგუფის წევრები | თამარ ამხაშვილი (თავმჯდომარე); ქეთევან ბაცანკალაშვილი (წევრი). |
| ვიზიტისგანხორციელების პერიოდი | 2018 წლის 23, 24 და 25 ოქტომბერი |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 29 ოქტომბერი 2018 წელი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციისსტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

## I. საგანმანათლებლოპროგრამები

**1.1** სასკოლოსასწავლო გეგმაგამომდინარეობსსკოლისმისიიდანდაშეესაბამებაეროვნულსასწავლოგეგმას

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს 'ეტალონი 2015" სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის N1 ოქმითა და სკოლის დირექტორის 2018 წლის 7 სექტემბრის N31/1 ბრძანებით და შედგება შემდეგი ნაწილებისგან:<br>1. ზოგადი დებულებები;<br>2. სკოლის მისია;<br>3. სკოლის ხედვა და ფასეულობანი;<br>4. ზოგადი განათლების საფეხურის ამოცანები;<br>5. სკოლაში სამუშაო პირობები და სასწავლო დღის განრიგი;<br>6. 2018-2019 სასწავლო წლის საათობრივი ბადე;<br>7. 2018-2019 სასწავლო წლისთვის არჩეული სახელმძღვანელოები (მათ შორის I-VI კლასების ახალი სახელმძღვანელოები);<br>8. შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა;<br>9. სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიური მრავალფეროვნება;<br>10. ეროვნული სასწავლო გეგმით გთვალისწინებული საგანმანათლებლო მომსახურეობის ჩამონათვალი და აღწერილობა;<br>11. კლასის დამრიგებელი;<br>12. დამრიგებლის საათი;<br>13. სადამრიგებლო პროგრამები კლასების მიხედვით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

ექსპერტი ------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

14. სასწავლო მასალის ჩამონათვალი
15. მოსწავლეთა შეფასების სისტემა;
16. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის (ისგ);
17. კათედრები;
18. დასკვნა;

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით:

- სკოლა 2018-2019 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესს ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამივე საფეხურზე; სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად, ხოლო არდადეგების პერიოდია საშობაო და სააღდგომო არდადეგები. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. გაკვეთილების ხანგრძლივობა I-კლასში განისაზღვრება 35 წუთით, II- კლასში 40 წუთით, III-XII კლასის ჩათვლით განისაზღვრება 45 წუთით. დასვენება 5 წუთიანია, გარდა ერთი დიდი დასვენებისა, რომელიც 10 წუთიანია. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერთ ცვლაში, 09:00-დან 15:00-მდე;

სასწავლო წლის სამუშაო კალენდარის მიხედვით სასწავლო წელი 2018-2019 სასწავლო წლის 17 სექტემბერს, სკოლაში ფუნქციონირებს 12 კლასი, სკოლამ დაიწყო 2018 წლის 17 სექტემბერს, სკოლაში ფუნქციონირებს 12 კლასი, სადაც სწავლება მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივი ბადით გათვალისწინებულ ყველა საგანში. საბაზო და საშუალო საფეხურებზე (IX, X და XI კლასებში) გაზრდილია პირველი უცხოური ენის - ინგლისურის საათობრივი დატვირთვა ერთი საათით.



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................
ექსპერტი ---------------------------------

| | |
|---|---|
| | სკოლის მიერ არჩეული სახელმძღვანელოების ჩამონათვალის მიხედვით, დაწყებით საფეხურზე შერჩეულია ახალი, გრიფირებული სახელმძღვანელოები. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებიც სწავლობენ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაწყებითი საფეხურისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებისათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ" სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივლისის N05-01/35 ბრძანების შესაბამისი გრიფირებული სახელმძღვანელოებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გაწერილია შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა. შემუშავებულია გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის მექანიზმი, რომლის მიხედვითაც თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს გაცდენის გამო, სკოლა აძლევს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალებას. აღდგენითი სამუშაო ინიშნება სემესტრის ბოლომდე ინდივიდუალურად, მოსწავლესთან ან მოსწავლეთა ჯგუფებთან გრაფიკის მიხედვით.<br><br>„კათედრების" ნაწილში გაწერილია კათედრების ფუნქციები, მათი თავმჯდომარის ფუნქციები.<br><br>„სადამრგებლო პროგრამის" ნაწილის მიხედვით, დამრიგებლის მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, ხოლო მოვალეობებია - გააცნოს მოსწავლეს და მის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...........................................

ექსპერტი ----------------------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.). რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი, რომლის მიზანიცაა მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. სადამრგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს პიროვნულ და მორალურ, გარემოს დაცვით კულტურის, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის, უსაფრთხოებისა და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაციის, მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლებისა და თვალსაწიერის გაფართოების განვითარებაზე. დაზუსტებული სადამრიგებლო საათის ჩასატარებლად კლასებში ცალკე საათი ჩასმული არ არის.<br><br>„შეფასების სისტემის" ნაწილში გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზანი, ტიპები, კომპონენტები, ქულათა სახეები, დონეები, V – მეორე სემესტრიდან XII კლასებში ქულით შესაფასებელი საგნები, დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასების არ გამოყენების საკითხი საფეხურის საერთო ქულის გამოთვლისას, ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დამლევა, გაცდენები;<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომლის მიხედვითაც მასწავლებლების მონიტორინგის საშუალებად გაწერილია: მასწავლებლების მონიტორინგი -სასკოლო დოკუმენტაციის, თემატური და |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................
ექსპერტი ----------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | კალენდარული გეგმების შემოწმება, გაკვეთილებზე დასწრება, სემესტრული და წლიური ანგარიშები, მასწავლებლის პორტფოლიოს შემოწმება; კათედრის ხელმძღვანელების საქმიანობის მონიტორნგი - კათედრების სამოქმედო გეგმების შემოწმება, კათედრის ხელმძღვანელის პორტფოლიოს შემოწმება; კლასის დამრიგებლების საქმიანობის მონიტორინგი - სადამრიგებლო პროგრამების შემოწმება, დამრიგებლის პორტფოლიოს შემოწმება; პედაგოგიური საბჭოს მუშაობის მონიტორინგი - პედსაბჭოზე მასწავლებელთა აღრიცხვის სისტემატიური წარმოება.<br><br>„ინკლუზიური განათლების" ნაწილში გაწერილია ინკლუზიური განათლების არსი, მიზანი, დანერგვის ამოცანები, სსსმ მოსწავლის განმარტება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შინაარსი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და კომპონენტები, სსსმ მოსწავლის შინ სწავლების პრინციპები, შეფასება და მინიმალური საათობრივი დატვირთვა. |
| დადასტურება/დანართი | 1. შპს „ეტალონი 2015" პედაგოგიური საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბერს ოქმი N1-ით;<br>2. სკოლის დირექტორის 2018 წლის 7 სექტემბრის N31/1 ბრძანებით დამტიცებული სასკოლო სასწავლო გეგმით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-3 მუხლის „ა" პუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**1.2** სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს სამივე საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.<br>სკოლაში ფუნქციონირებს შვიდი საგნობრივი ჯგუფის კათედრა, ესენია:<br>ქართული ენისა და ლიტერატურის, ტექნიკური საგნების, საბუნებისმეტყველო, უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, შრომითი და ესთეტიკური აღზრდისა და დაწყებითი განათლების. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კათედრის ფუნქციები.<br>პედაგოგებს შემუშავებული აქვთ შესაბამისი კლასის თემატური გეგმები, რომლებიც იძლევა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი სტანდარტის მიღწევის საშუალებას.<br>სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი/აღმზრდელი რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია სასწავლო გეგმით. |
| დადასტურება/დანართი | 1. საკლასო ჟურნალებით<br>2. სკოლის სასწავლო გეგმით<br>3. მასწავლებლებთან გასაუბრებით |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................
ექსპერტი ----------------------------------------

| | |
|---|---|
| | |

**1.3** სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

| | |
|---|---|
| აღწერა | 2018-2019 სასწავლო წლისათვის, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას, სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ინკლუზიური განათლების ნაწილს, რომელშიც განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აღწერა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის აღწერა, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება და ინიდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო სსსმ მოსწავლისათვის. |
| დადასტურება/დანართი | 1. შპს „ეტალონი 2015" პედაგოგიური საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბერს ოქმი N1-ით;<br>2. სკოლის დირექტორის 2018 წლის 7 სექტემბრის N31/1 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-3 მუხლის „გ" პუნქტი. |

**1.4** სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლის შეფასების სისტემა. სკოლაში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მოსწავლეები I-V კლასის პირველ სემესტრში კლასებში ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

ექსპერტი ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | ხოლო V კლასის მეორე სემესტრი-XII კლასებში განმსაზღვრელი შეფასებით. კლასისა და საფეხურის დაძლევის ქულად განსაზღვრულია 5,0 ქულა. სკოლა ატარებს შემდეგ გამოცდებს: სემესტრული გამოცდა, საშემოდგომო გამოცდა. მასწავლებელთა პორტფოლიოებში განთავსებულია სხვადასხვა სახის მოსწავლის ზოგადი და საგნობრივი კომპეტენციის შეფასების რუბრიკები. |
| დადასტურება/დანართი | 1. შპს "ეტალონი 2015" პედაგოგიური საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბერს ოქმი N1-ით;<br>2. სკოლის დირექტორის 2018 წლის 7 სექტემბრის N31/1 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმით;<br>3. მასწავლებელთა პორტფოლიოებით.<br>4. მოსწავლეებთან გასაუბრებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-3 მუხლის „დ" პუნქტი. |

**1.5** შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

| | |
|---|---|
| აღწერა | 2018-2019 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით (მშობლებთან ურთიერთობა) შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. მშობელთა კრებები ოფიციალურად იმართება წელიწადში 4-ჯერ. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

ექსპერტი ------------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | მშობლებთან ურთიერთობისას გამოიყენება:<br>• ინფორმაციის მიწოდება წერილობით,<br>• ტელეფონით,<br>• ინდივიდუალური შეხვედრები,<br>• ვიზიტი ოჯახებში,<br>• ღია გაკვეთილებზე მოწვევა,<br>• ექსკურსიები და ლაშქრობები;<br>სკოლას აქვს საკომუნიკაციო საშუალებები: ელექტრონული ფოსტა: skolaetaloni2015@gmail.com და Facebook-ის გვერდი რისი საშუალებითაც მშობლებს შესაძლებლობა დაამყარონ კომუნიკაცია სკოლის პერსონალთან და მიიღონ ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. |
| დადასტურება/დანართი | 1. დამრიგებლების პორტფოლიოებით;<br>2. მშობლებთან ურთიერთობის წესით; |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-3 მუხლის „ე" პუნქტი. |

**1.6** შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს „ეტალონი 2015" სასკოლო სასწავლო გეგმის „შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის" ნაწილის შესაბამისად, სკოლაში მოქმედი კათედრების სამუშაო გეგმის ნაწილებში განსაზღვრულია აქტივობები: გამოცდილების გაზიარება და კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, კათედრების წევრების რეგულარული |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................
ექსპერტი ------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | შეხვედრები, საგნობრივი კვირეულების ჩატარება, კათედრის ხელმძღვანელის გაკვეთილებზე დასწრება, სემეტრის ანგარიშების, შემაჯამებელი წერებისა და სარეიტინგო წერების ანგარიშები და ა.შ. სკოლაში არსებული გამოცდების ანალიზი. აღნიშნული აქტივობებიდან გამომდინარე შესაძლებელია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და შემდგომი გაუმჯობესების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. |
| დადასტურება/დანართი | 1. შპს „ეტალონი 2015" პედაგოგიური საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბერს ოქმი N1-ით;<br>2. სკოლის დირექტორის 2018 წლის 7 სექტემბრის N31/1 დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმით;<br>3. დირექციასთან გასაუბრებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-3 მუხლის „ვ" პუნქტი. |

## II. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულება დაფუძნებულია 2014 წლის 12 ნოემბერს და განთავსებულია ქალაქ წნორში ერეკლე II, N24. მესაკუთრე არის საშა ლეკიაშვილი (P/N 40001008251) რომლის მფლობელობაშია 533 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწა და მასზე განთავსებული |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...............................
ექსპერტი -------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | შენობა-ნაგებობაN1 საერთო ფართით 807 კვ.მ. დაN2 საერთო ფართით 65,3 კვ.მ რომელიც,20 წლის ვადით, იჯარით აღებული აქვს შპს „ეტალონი 2015" (ს/კ 440 391933). 2035 წლის 1 მაისამდე. |
| მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | 56. 04. 53. 096 |
| დადასტურება/დანართი | 1. ინფორმაცია გადამხდელის შესახებ;<br>2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;<br>3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>4. უძრავი ნივთის იჯარის ხელშეკრულება;<br>5. ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის „ა.ა" ნაწილი. |

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს ეტალონი 2015 ზემოთ მითითებულ შენობაში, აქვს 12 საკლასო ოთახი და ერთი კომპიუტერული ლაბორატორია. საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: დაფებით, 208 ინდივიდუალური მერხით, 221 ერთეული სკამით, მასწავლებლის სამუშაო მაგიდებით და სკამებით. დაწესებულებამ წარმოადგინა სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. |
| დადასტურება/დანართი | 1. სასაქონლო ზედნადებებით;<br>2. მიღება - ჩაბარების აქტებით;<br>3. ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

| | |
|---|---|
| | დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის „ა.ა" ნაწილი. |

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს ეტალონი 2015 აღჭურვილია სპორტული დარბაზით. სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არის ფეხბურთის გარე მოედანი და მიუხედავად იმისა, რომ ის სკოლას არ ეკუთვნის, ბავშვები შეუფერხებლად სარგებლობენ ამ მოედნით და კარგ ამინდში ატარებენ სპორტის გაკვეთილებს. |
| დადასტურება/დანართი | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. ინტერვიურება დირექტორის მოადგილესთან. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის „1" პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „ა.გ" ნაწილი. |

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისათვის განკუთვნილი ლაბორატორია, რომელიც შეისყიდა შპს „თბილისის აკადემიური სკოლა"-დან. ლაბორატორია განლაგებულია სათავსოში და როგორც სკოლის დირექტორმა განმარტა, იქიდან გააქვთ საკლასო ოთახებში მოძრავი ხელსაბანი, რეაქტივებთან და სხვა საჭირო საგნებთან. სკოლაში არის სათანადოდ აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. ინტერვიურება დირექტორის მოადგილესთან;<br>3. ინტერვიუირება მოსწავლეებთან;<br>4. სასაქონლო ზედნადებებით;<br>5. საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურებით;<br>6. მიღება - ჩაბარების აქტებით; |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ" ნაწილი. |

**2.2** სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტრო ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სკოლას აქვს 5 კილოვატიანი გენერატორი, სამი სველი წერტილი ერთი გოგონებისთვის, ერთი ვაჟებისთვის და ერთიც დაწესებულების პერსონალისთვის. ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, რომელიც ბუნებრივ აირზე მუშაობს. |
| დადასტურება/დანართი | 1. სასაქონლო ზედნადებები;<br>2. მიღება - ჩაბარების აქტები;<br>3. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

**2.3** სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი არის 751 ერთეული წიგნი. ბიბლიოთეკაში არის კატალოგი ქაღალდის მატარებელზე. წიგნების ძირითადი ნაწილი დამუშავებულია ბიბლიოგრაფიული წესით. წიგნები განლაგებულია კარადებში. ბიბლიოთეკას სამკითხველო დარბაზი, წიგნსაცავი და ბიბლიოთეკარის სამუშაო ოთახი აქვს 24.0 კვ.მ. ფართის ოთახში, სადაც დგას 2 მაგიდა და 2 სკამი. შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სამუშაო გრაფიკი. ადგილზევე, შემთხვევითობის პრინციპით, მოხდა სკოლის სასწავლო გეგმაში არსებული სახელმძღვანელოების გადამოწმება. სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი არ აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში არ არის კომპიუტერი. სკოლას გამოწერილი არ აქვს სასწავლო პროცესის და სასწავლო გეგმის შესაბამისი პერიოდიკა. დაწესებულებას ემსახურება ბიბლიოთეკარი. |
| დადასტურება/დანართი | 1. სკოლის ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებით;<br>2. ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით;<br>3. ბიბლიოთეკართან გასაუბრებით;<br>4. მიღება - ჩაბარების აქტებით. |
| შეფასება | დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**2.4** სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის შენობა არ არის სრულფასოვნად ადაპტირებული. შენობის შესასვლელში დასხმულია დამრეცი ბეტონი, ქმნის შემაღლებას. ვიზიტის დროს შენობის კიბეებზე არ იყო პანდუსები. ტუალეტები მოწყობილია დადგენილი სტანდარტის შესაბამისად. დირექციის წარმომადგენელმა განგვიმარტა, რომ აქვთ მოძრავი ხის პანდუსი, რომელიც აღებულია რადგან ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლე. |
| დადასტურება/დანართი | 1. ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი. |

**2.5** სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არაუმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი 6 კომპიუტერი და 4 ნოუთბუკი, 5 კომპიუტერი დგას კომპიუტერულ ლაბორატორიაში. კომპიუტერებთან წვდომა შეზღუდული არაა, კომპიუტერებით სარგებლობა თავისუფლად შეუძლია სკოლის საზოგადოების ნებიმიერ წევრს. დაწესებულებისთვის ინტერნეტის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს „სილქნეტი". სკოლას არ აქვს ვებგვერდი. საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას ასრულებს Facebook -ი. |
| დადასტურება/დანართი | 1. ვიზუალური დათვალიერება;<br>2. სასაქონლო ზედდებული; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

ექსპერტი ..................................

| | |
|---|---|
| | 3. ჩუქების ხელშეკრულება;<br>4. მიღება-ჩაბარების აქტები; |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, „ე" ქვეპუნქტი. |

**2.6** სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს ეტალონი 2015 მიერ დაკავებულ შენობაში, პირველ სართულზე განთავსებულია სამი ცეცხლმაქრობი, მეორეზე ერთი, გარდა ამისა შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, შენობის შესასვლელში პირველ სართულზე განთავსებულია სახანძრო სტენდი. |
| დადასტურება/დანართი | 1. სასაქონლო ზედნადებით;<br>2. ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, „ვ.ა" ნაწილი. |

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს ეტალონი 2015-ის მიერ დაკავებულ შენობაში, ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. |
| დადასტურება/დანართი | 1. ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

ექსპერტი ------------------------------

| | |
|---|---|
| | დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, „ვ.გ" ნაწილი. |

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

| | |
|---|---|
| აღწერა | შენობის პირველ სართულზე, ბიბლიოთეკის ოთახში, დგას სამედიცინო ტახტი, რომელსაც დირექციის განმარტებით, იყენებენ სამედიცინო საჭიროებებისთვის. პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო წამლები და ნივთები ინახება სამასწავლებლოში. ექიმის საქმუშაო აღწერილობა, რეგლამენტი, ლოკაცია და ძირითადი ინსტრუქციები, რომელშიც გაწერილია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. მიუხედავად ამისა სკოლის საშტატო განრიგით არ არის გათვალისწინებული და არც არსებობს შრომითი ხელშეკრულება ექიმთან. |
| დადასტურება/დანართი | 1. ექიმის დებულება საქმიანობის აღწერით;<br>2. საშტატო განრიგით. |
| შეფასება | დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, „ვ.გ" ნაწილი. |

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს „ეტალონი 2015" მიერ შემუშავებულია წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. წესრიგის დაცვის მიზნით სკოლაში მოქმედებს სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს შრომის დისციპლინისა და მოსწავლეთა შეუფერხებელი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

ექსპერტი ----------

| | |
|---|---|
| | ქცევის შედეგებს, კანონმდებლობის შესაბამისად, დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. სკოლაში დანერგილია მასწავლებელთა მორიგეობა, როგორც საგაკვეთილო პროცესის, ასევე შესვენებების დროს. მორიგეობის დროს პედაგოგებს ევალებათ მოსწავლეთა შორის კონფლიქტური სიტუაციების პრევენცია და მართვა, საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას კლასიდან გამოსული მოსწავლის კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში დახმარების გაწევა. |
| დადასტურება/დანართი | 1. დირექტორის მოადგილესთან ინტერვიურებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, „ვ.დ" ნაწილი. |

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგანსაქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს ეტალონი 2015 მიერ დაკავებულ შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია უსაფრთხოების ვიდეოსამეთვალყურეო 11 კამერა. მათგან 7 დამონტაჟებულია შენობის შიდა პერიმეტრზე, თითო სართულზე 3-3 და ერთი კომპიუტერულ ლაბორატორიაში. 4 ვიდეოთვალი აკონტროლებს გარე პერიმეტრს (ორი კამერა აკონტროლებს სკოლის ტერიტორიაზე შესასვლელ ჭიშკარს და ქუჩას, ორი კი შენობის წინა მხარეს ეზოს ტერიტორიას მარჯვნივ და მარცხნივ). ვიზუალური |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | დათვალიერებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გარე პერიმეტრზე არსებული ყველა უსაფრთხოების ვიდეოსამეთვალყურეო კამერა აკმაყოფილებს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგანსაქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი იქნა დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება უსაფრთხოების ვიდეოსამეთვალყურეო კამერების შეძენა და საკუთრების უფლება. სკოლაში ვიზიტის დროს ვითხოვეთ ადმინისტრაციას ეჩვენებინა წინა დღეების უსაფრთხოების ვიდეომეთვალყურეობის კამერების ჩანაწერები. ჩანაწერების გადახვევამ აჩვენა, რომ სისტემა მუშაობს, აკეთებს და ინახავს ჩანაწერებს. |
| დადასტურება/დანართი | 1. შესყიდვის ხელშეკრულებებით;<br>2. სასაქონლო ზედნადებებით;<br>3. მიღება - ჩაბარების აქტებით;<br>4. საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურებით;<br>5. ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, „ვ.ე" ნაწილი. |

**2.7** სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს ეტალონი 2015-ის მიერ წარმოდგენილი იყო სკოლის დებულება, შინაგანაწესი, საქმის წარმოების დებულება რომლებიც არეგულირებენ გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურებს. სკოლის წესდება და შინაგანაწესი შემუშავებულია და დამტკიცებულია მოქმედი კანონმდებლობის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

ექსპერტი ------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | ფარგლებში. |
| დადასტურება/დანართი | 1. შპს „ეტალონი 2015“ დებულება;<br>2. შპს „ეტალონი 2015“ შინაგანაწესი;<br>3. ინტერვიურება სკოლის დირექტორის მოადგილესთან. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის „ზ“ პუნქტი. |

**2.8** შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს ეტალონი 2015 შემუშავებული აქვს: 2015-2020 სასწავლო წლების სტრატეგიული გეგმა, რომელშიც საუბარია სკოლაში განსახორციელებელ აქტივობებზე, მათი ნაწილი დათქმულ ვადაში ვერ შესრულდა და გადატანილია მომდევნო წელს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სკოლას არ აქვს გაკეთებული ე. წ. SWOT ანალიზი. სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები ასევე ერთწლიან გეგმაშია ასახული სასწავლო რესურსის განვითარება. |
| დადასტურება/დანართი | 1. 2015-2020 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმით;<br>2. 2018 – 2019 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით. |
| შეფასება | დარღვეულია„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის „თ“ პუნქტი. |

**2.9** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

ექსპერტი ------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა სამივე საფეხურის მოსწავლეების თერთმეტი პირადი საქმე რომელთა შემოწმებამაც აჩვენა, რომ მოსწავლეებს აქვთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №113/ნ ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის პირადი საქმის შესაბამისი პირადი საქმე; მოსწავლეთა პირად საქმეებში ყველგან დევს ნოტარიულად დამოწმებული დაბადების მოწმობის ასლი, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება და არასრულწლოვანის რეგისტრაციის მოწმობა; სკოლაში შიდა ადმინისტრაციული აქტების (ბრძანებების) აღრიცხვა ხდება სარეგისტრაციო ჟურნალში, ხოლო თვითონ ბრძანებები იკინძება ფაილებით შესაბამის საქაღალდეში. ანალოგიურად ხდება პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების აღრიცხვა რეგისტრაცია და შენახვა. |
| დადასტურება/დანართი | 1. დაწესებულებაში შემოსული კორესპოდენციებით;<br>2. მოსწავლეთა პირადი საქმეებით;<br>3. შიდა ადმინისტრაციული აქტების (ბრძანებების) რეგისრტაციის ჟურნალით;<br>4. შიდა ადმინისტრაციული აქტებით (ბრძანებებით);<br>5. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმებით; |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის „ი" პუნქტი. |

## III. ადამიანურირესურსი

| | | |
|---|---|---|
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
| | აღწერა | სკოლაში დასაქმებულია 27 მასწავლებელი, დირექტორი, სასწავლო და აღმზრდელობითი ნაწილის გამგე, ისტ მენეჯერი, რომელიც ასევე ითავსებს საქმეთა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...............................
ექსპერტი -----------------------------------

| | |
|---|---|
| | მმართველის თანამდებობას, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, და სხვა დამხმარე ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. |
| დადასტურება/დანართი | • პირადი საქმეებით;<br>• გაფორმებული ხელშეკრულებებით;<br>• საშტატო განრიგით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტით. |

**3.2** სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. მონიტორინგის პერიოდში გადამოწმდა თითოეული მასწავლებლის პირადი საქმე, მათ შორის იმ პედაგოგების პირადი საქმეებიც, რომლებიც დაწესებულებაში დასაქმდნენ ავტორიზაციის შემდგომ პერიოდში.<br><br>2015 წლის შემდგომ მიღებული 6 პედაგოგის პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ ერთი-ერთი მასწავლებელი, რომელსაც დიპლომით მინიჭებული აქვს ისტორიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მასწავლებლის კვალიფიკაცია, ასწავლის სპორტს დაწყებით კლასებში; ხოლო საქმეთა მმართველი ითავსებს ინფო მენეჯერის და ისტ-ის საგნის პედაგოგის თანამდებობას მას აქვს აღნიშნული კომპეტენციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო კურსის სერტიფიკატი. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნულ პედაგოგებთან ხელშეკრულების გაფორმების მთავარი მიზეზია, რაიონში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების დეფიციტი, განსაკუთრებით კი ისეთ დისციპლინებში, როგორებიც |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........
ექსპერტი ----------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | | |
|---|---|---|
| | | არის სპორტი და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.<br><br>დანარჩენ 4 პედაგოგს, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, მინიჭებული აქვს შესაბამისი საგნისა და მასწავლებლის კვალიფიკაცია. არსებული კანონმდებლობის თანახმად, საგნის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, აღნიშნული პედაგოგები შეძლებენ მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვას.<br><br>დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია, აღნიშნულ 6 მასწავლებელთან, მათი სქემაში ჩართვის პროცესამდე, გააფორმოს ზოგადი განათლების შესახებ კანონში შესული ცვლილებების შესაბამისი ხელშეკრულებები. კერძოდ, აღნიშნულ პედაგოგებთან გააფორმოს მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულებები. |
| 1აქა | დადასტურება/დანართი | • პირადი საქმეებით;<br>• ამონაწერით eschool-ის ბაზიდან. |
| | შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი. |

**3.3** სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, თანამდებობრივი სტრუქტურა და ინსტრუქციები. დოკუმენტებში გაწერილია თანამდებობრივი ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები, თანამშრომელთა შერჩევის, მიღების და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისების და სანქციების სისტემა.<br>სკოლაში სამუშაოზე თანამშრომლის მიღება ხდება კონკურსის ან/და გასაუბრების შედეგების საფუძველზე. თითოეული მასწავლებლის პირად საქმეში ინახება სკოლის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...............................
ექსპერტი -------------------------------

| | |
|---|---|
| | შინაგანაწესით განსაზღრული დოკუმენტაცია. |
| დადასტურება/დანართი | • შპს ეტალონი 2015-ის შინაგანაწესით;<br>• თანამდებობრივი სტრუქტურით;<br>• თანამდებობრივი ინსტრუქციებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით. |

**3.4** მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები; სკოლა აწარმოებს ხელშეკრულებების რეესტრს.<br>პედაგოგებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები 9 თვის ვადით, 2018 წლის 17 სექტემბრიდან 2019 წლის 21 ივნისამდე, რაც შრომის კოდექსის მიხედვით, არ არის დარღვევა, ვინაიდან ორგანიზაცია 4 წელიწადზე ნაკლები ხანდაზმულობისაა.<br>თანამშრომელთა ხელშეკრულებები შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს და მოიცავს კოდექსის მიხედვით განსაზღვრულ ყველა არსებით პირობას. |
| დადასტურება/დანართი | • ხელშეკრულებებით;<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „დ" ქვეპუნქტით. |



**3.5** სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

ექსპერტი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლა ჩართულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში". დაწესებულებაში მუშაობს 7 უფროსი და 14 პრაქტიკოსი მასწავლებელი. დანარჩენი ექვსი პედაგოგი სკოლაში მიღებულია 2015 წლის შემდგომ, შესაბამისად სქემაში ჩართვის მიზნით, უმრავლესობამ უნდა ჩააბაროს მხოლოდ საგნის გამოცდა.<br><br>სკოლის პედაგოგები ახორციელებენ სქემით გათვალისწინებულ აქტივობებს: ესწრებიან ტრენინგებს, მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებს (მაგალითად, საზაფხულო სკოლა), ემზადებიან შიდა და გარე საგაკვეთილო დაკვირვებისათვის.<br><br>2017-2018 სასწავლო წელს, ორმა პედაგოგმა წარმატებით გაიარა შიდა საგაკვეთილო დაკვირვება და მიენიჭა შესაბამისი კრედიტ-ქულა, რაც ასახულია სკოლის ელექტრონულ ბაზაში. ხოლო, ორმა პედაგოგმა ჩააბარა საგნის გამოცდა და გახდა უფროსი მასწავლებელი.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, რაც ასახულია სკოლის განვითარების ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში, თუმცა ნაკლებად არის დაკონკრეტებული ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.<br><br>სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სკოლის შიდა შეფასების ჯგუფი, სკოლაში პედაგოგები გაერთიანებული არიან საგნობრივ კათედრებზე, სადაც ხდება გამოცდილების გაზიარება, სამუშაო შეხვედრების ორგანიზების, ასევე გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გზით. სკოლას გააჩნია შიდა მონიტორინგის დოკუმენტი, რომლის მიხედვით პერიოდულად ამოწმებს შიდა შეფასების ჯგუფის მუშაობასა და |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | შიდა შეფასების პროცესს. |
| დადასტურება/დანართი | • ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით;<br>• ამონაწერით ამონაწერით eschool-ის ბაზიდან;<br>• ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმით;<br>• სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის დებულები;<br>• დირექტორის ბრძანებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტით. |

**3.6** სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის ადა თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო, განაწილებულია მოქმედი სუბიექტების უფლება-მოვალეობები, არ იგრძნობა შიშის ატმოსფერო, ყველა თანამშრომელსა და მოსწავლეს შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი. სკოლაში სწავლობენ მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსწავლეები, რომლებიც სიამოვნებით დადიან სკოლაში. მათ ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს 2 მიკროავტობუსი. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ სკოლაში არის მეგობრული ურთიერთობა. პედაგოგები მათ ეხმარებიან საგნების დაძლევაში, ხელს უწყობენ მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთდამოკიდებულება არის საქმიანი. იგრძნობა მასწავლებლების მზაობა და მოტივაცია, მოსწავლეებს შესთავაზონ საინტერესო საგანმანათლებლო აქტივობები და პროექტები, რისი დამადასტურებელი ფოტო-მასალაც ასახულია სკოლის სოციალურ ქსელის გვერდზე.<br>სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ პედაგოგები მზად |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

ექსპერტი ------------------------------------------

| | |
|---|---|
| მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა | არიან ერთამენთს გაუზიარონ საგანმანთლებლო გამოცდილება და ხელი შეუწყონ კოლეგების პროფესიულ ზრდას.<br>სკოლაში დაგეგმილია ღონისძიებები რომლებიც ითვალისწინებენ სასკოლო გარემოზე ზრუნვასა და მის გაუმჯობესებას. სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრებამ გვაჩვენა, რომ სკოლაში არის დაცულობის განცდა, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივიცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.<br>სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ მშობლებთან. დაინტერესებულ მშობელს შეუძლია რეგულარულად მიიღოს ინფორმაცია შვილის აკადემიური და პიროვნული განვითარების შესახებ დამრიგებლისა თუ სხვა პედაგოგისგან. სკოლის ადმინისტრაცია მზად არის, გაითვალისწინოს მშობელთა რეკომენდაციები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. |
| დადასტურება/დანართი | 1. შინაგანაწესით;<br>2. მასწავლებლების ინტერვიურებით;<br>3. მოსწავლეებთან გასაუბრებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-5 მუხლის „ვ" პუნქტი. |

## IV. საგანმანათლებლო სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესრულება

**4.1** მოსწავლეთა აღრიცხვის ჟურნალები

| | |
|---|---|
| აღწერა | საკლასო ჟურნალების შემოწმებამ აჩვენა, რომ მათი წარმოების წესი დაცულია. |
| დადასტურება/დანართი | შპს „ეტალონი 2015" საკლასო ჟურნალები; |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

ექსპერტი ..........................

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | წლის 22 აგვისტოს №114/6 ბრძანება. |

| | |
|---|---|
| სულ დანართი | |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................
ექსპერტი ----------------------------------------